EQUALITY MOVEMENT

თანასწორობის მოძრაობა
ს/კ: 404406335

17.02.2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს თამარ გაბუნიას
ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობის"

მ ო ს ა ზ რ ე ბ ა

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობა" წარმოგიდგენთ მოსაზრებას „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების №1 დანართის 65^1 მუხლის „ე" ქვეპუნქტის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 17 დეკემბერს №2/16/1346 განჩინებით არაკონსტიტუციურად გამოაცხადა მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების №1 დანართის 65^1 მუხლის „ე" ქვეპუნქტი, ხოლო ნორმის ძალადაკარგულაც ცნობა გადაავადა 2020 წლის 21 მარტამდე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით. ამდენად, ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე მინისტრმა უნდა უზრუნველყოს №241/ნ ბრძანების №1 დანართის 65^1 მუხლის „ე" ქვეპუნქტი ახლებურად ჩამოყალიბება.

მიგვაჩნია, რომ ნორმის ახალი რედაქცია სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

საქართველო, თბილისი 0102
უშანგი ჩხეიძის 19
032 2 47 97 48
info@equality.ge
www.equality.ge

EQUALITY MOVEMENT

თანასწორობის მოძრაობა
ს/კ: 404406335

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ორჯერ იმსჯელა მსმ ადამიანებისთვის დონაციის უფლების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებით. საქმეზე საქართველოს მოქალაქეები- ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ მოსარჩელეები სადავოდ ხდიდნენ „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების №1 დანართის „სისხლის, პლაზმის, სისხლის უჯრედების დონორების სამედიცინო შემოწმების შესახებ დებულება" 24-ე მუხლის (2000 წლის 5 დეკემბრის რედაქცია) სიტყვის „ჰომოსექსუალიზმი" და „სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 სექტემბრის №282/ნ ბრძანების №1 დანართის „სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივები" მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის (2007 წლის 27 სექტემბრის რედაქცია) სიტყვის „ჰომოსექსუალიზმი" კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებთან მიმართებით.

სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელეების არგუმენტები და დაადგინა, „განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა, არსებითად თანასწორ პირებს შორის, ადგენს გაუმართლებლად მკაცრ უთანასწორო მოპყრობას და უფლებას ზღუდავს იმაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. კერძოდ, ერთი მხრივ, სარისკო სექსუალური ქცევის მქონე ჰომოსექსუალ მამაკაცებთან მიმართებით დადგენილია აბსოლუტური აკრძალვა „ფანჯრის პერიოდის" მიღმაც, ხოლო, მეორე მხრივ, გამოყენებული ტერმინის ფართო შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება აკრძალვა შეეხოს ისეთ პირებს, რომლებიც არ იყვნენ დაკავებული სარისკო სექსუალური ქცევით".

საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილების შემდეგ, „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბერის №241/ნ ბრძანების №1 დანართის 65^1 მუხლის „ე"

საქართველო, თბილისი 0102
უშანგი ჩხეიძის 19
032 2 47 97 48
info@equality.ge
www.equality.ge

ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ „მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან“ განეკუთვნება ქცევას, რომელიც შეიცავს სისხლის გზით გადამდები დაავადებების შეძენის მაღალ რისკს და ამგვარი კავშირის შემთხვევაში სისხლისა და მისი კომპონენტების უანგარო დონაციის უფლება იზღუდება ბოლო სარისკო სქესობრივი კონტაქტიდან 10 წლის განმავლობაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 აგვისტოს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1346) მიმართეს საქართველოს მოქალაქეებმა - **გოჩა გაბოძემ და ლევან ბერიანიძემ, რომლებმაც აღნიშნული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არსებითი განხილვის გარეშე, გამწესრიგებელ სხდომაზე ცნო არაკონსტიტუციურად, რადგან სადავო აქტი შეიცავდა იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად.**[1]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით:

- სასამართლომ საქმეზე „ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი ფართოდ განმარტა და აღნიშნა, „მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ორიენტაცია პირდაპირ არ არის მოხსენიებული კონსტიტუციით განსაზღვრული ნიშნების ჩამონათვალში, არსებითად თანასწორი პირების ნებისმიერი დიფერენცირება აღნიშნული ნიშნის საფუძველზე შეფასებადია თანასწორობის ძირითად უფლებასთან მიმართებით“;
- **სასამართლომ მიიჩნია, რომ** სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის პროცესის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელმა ღონისძიებებმა, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს დიფერენცირებული მოპყრობის აუცილებლობა, რაც რიგ შემთხვევებში შეიძლება გონივრული და თანაზომიერიც იყოს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ მსმ პირებისთვის დონაციის უფლების შეზღუდვა არსებითად თანასწორ პირებს შორის, ადგენს გაუმართლებლად მკაცრ უთანასწორო

[1]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები- ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ

მოპყრობას და უფლებას ზღუდავს იმაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;[2]

- **სასამართლომ ჩათვალა, რომ მსმ ადამიანებისთვის დონაციის 10 წლის ვადით შეზღუდვა** საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის უფლება იზღუდება „ფანჯრის პერიოდის" მიღმა. ამასთან, აკრძალვა, მართალია, არ არის დადგენილი მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუმცა მოიცავს სიცოცხლის საკმაოდ მნიშვნელოვან პერიოდს - უკანასკნელი სარისკო ქცევიდან 10 წელს.[3]

სამართლებრივი შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპს. კონსტიტუციის მიზნებისთვის, აკრძალულია თვითმიზნური, არაგონივრული, არარაციონალური დიფერენციაცია, რომელიც თავისი ინტენსივობით აღწევს დისკრიმინაციული მოპყრობის ხარისხს. მსმ ადამიანებისთვის დონაციის უფლების შეზღუდვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ორჯერ მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის დარღვევად და შეაფასა, როგორც დისკრიმინაცია.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების №1 დანართის 65[1] მუხლი დონაციის ყველაზე ხანგრძლივ- 10 წლიან შეზღუდვას მხოლოდ მსმ ადამიანებისთვის ადგენს. ყველა სხვა შემთხვევაში დონაციის გადავადება ხდება ე.წ „ფანჯრის პერიოდით"- 12 თვით. ამგვარი რეგულირების მიზანს წარმოადგენს პოტენციური რეციპიენტების დაცვა სისხლის გზით გადამდები დაავადებების, მათ შორის, აივ/შიდსისგან.

მამაკაცები, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან განეკუთვნებიან აივ-ით ინფიცირების მაღალ რისკ-ჯგუფს. მსმ-ის საერთაშორისოდ აღიარებული განმარტების თანახმად, მსმ არის ბიოლოგიურად მამაკაცი, რომელსაც აქვს/ჰქონია

[2]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები- ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ

[3] . საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინება №2/16/1346 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები- გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მინისტრის წინააღმდეგ

სქესობრივი კონტაქტი (ანალური ან ორალური) სხვა მამაკაცთან ბოლო 12 თვის განმავლობაში.[4] მიუხედავად იმისა, რომ მსმ პოპულაცია, ზოგადად, მაღალ რისკ-ჯგუფს განეკუთვნება, „ფანჯრის პერიოდის" ათვლა ნებისმიერი ადამიანის შემთხვევაში იწყება რისკის შემცველი ქცევის უკანასკნელი მომენტიდან. შესაბამისად, მსმ პირებისთვის სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის შეზღუდვა იმაზე მეტი ვადით, ვიდრე აუცილებელია სისხლის ტესტის ე.წ. „ცრუ უარყოფითი" პასუხის რეალური რისკების გამოსარიცხად, არათანაზომიერი და არაკონსიტუციურია.[5]

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, საქართველოს ოკუპურებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სისხლის ლაბორატორიული კვლევისას საქართველოში არ გამოიყენება ევროპის ქვეყნებში არსებული უახლესი ტექნოლოგია და, ამასთანავე, არსებობს ანაზღაურებადი დონორის ინსტიტუტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სხვადასხვა უწყებასთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტა, მაქსიმალურად დაეცვა რეციპიენტი სისხლის დონაციის პროცესში სისხლის გზით გადამდები ინფექციებისაგან და სწორედ ამის გამო

დაადგინა მსგავსი ხანგრძლივობის შეზღუდვა მსმ პირებისათვის.[6] შესაბამისად, მსმ ადამიანებისთვის დონაციის უფლების არათანაზომიერი, არაგონივრული ვადით შეზღუდვით სამინისტრო ცდილობს ადამიანს დააკისროს ის ტვირთი/რისკი, რომლის მატარებელიც მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს. გარდა ამისა, მოქმედი ნორმა ბლანკეტურად ზღუდავს დონაციის უფლებას და არ ითვალისწინებს ჰქონდა თუ არა პოტენციურ დონორს სქესობრივი კონტაქტი სისხლის გზით გადამდები დაავადების მატარებელ პირთან.

---

4. პოპულაციის ზომის შეფასება მამაკაცებში, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან, 2014, გვ.1, https://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=23327e89-265d-4890-adf5-697f896da48a

5 . საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინება №2/16/1346 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები- გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მინისტრის წინააღმდეგ

6 . საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინება №2/16/1346 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები- გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მინისტრის წინააღმდეგ

საქართველო, თბილისი 0102
უშანგი ჩხეიძის 19
032 2 47 97 48
info@equality.ge
www.equality.ge

EQUALITY MOVEMENT

თანასწორობის მოძრაობა
ს/კ: 404406335

რეკომენდაცია

„სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების №1 დანართის 65[1] მუხლის „ე“ ქვეპუნქტის ახალ რედაქციაში მსმ ადამიანებისთვის დონაციის შეზღუდვის მაქსიმალურ ვადად უნდა განისაზღვროს 12 თვე, რომელიც წარმოადგენს „ფანჯრის პერიოდს“ და თვითკმარია ე.წ „ცრუ უარყოფითი შედეგის“ გამოსარიცხად. 12 თვეზე უფრო მეტი ვადით დონაციის უფლების შეზღუდვა გაიმეორებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარს, რაც კიდევ ერთხელ გახდება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ახალი ნორმის არაკონსტიტუციურაც ცნობისთვის მიმართვის საფუძველი.

შესაბამისად, „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების №1 დანართის 65[1] მუხლის „ე“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან (გადავადება 12 თვით ბოლო კონტაქტიდან).

დავით კახაბერი
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველო, თბილისი 0102
უშანგი ჩხეიძის 19
032 2 47 97 48
info@equality.ge
www.equality.ge